ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4698140

ნომერი: AR1706272

თარიღი : 12.09.2019

გაცემის თარიღი : 03.10.2019

გაცნობის თარიღი : 03.10.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ზურაბ საკანდელიძის ქუჩა, N 11-21-33;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნატალია გლინსკაია პ/ნ 01003010159
- ზ. საკანდელიძის ქ. #21, კ/ფ#1

ორგანიზაცია:

- შპს მეტრა დეველოპმენტი კოდი: 404982033

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 10 ივლისის №4582998 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 12 სექტემბრის №AR1706272 განცხადებით მომართა ნატალია გლინსკაიამ და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 10 ივლისის №4582998 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან და მისამართის მითითებასთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2019 წლის 10 ივლისის №4582998 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ზურაბ საკანდელიძის ქუჩა, N11-21-33-ში თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.08.001.097), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი №7-ის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 10.07.2019 წ-დან 10.01.2020 წ-ის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 10 ივლისის №4582998 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ხარვეზის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად 2718.3კვ.მ-ის ნაცვლად 2717.9 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 449.7 კვ.მ-ის ნაცვლად 463.2 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 1106.1 კვ.მ-ის ნაცვლად 1096.2 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება მათზე მაჩვენებლების დაზუსტება. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული ფართების ცვლილებასთან ერთად იცვლება საერთო ფართობიც და იგი შეადგენს 5804.8 კვ.მ-ს.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 10 ივლისის №4582998 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 10 ივლისის №4582998 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 5804.8 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 2717.9 კვ.მ, დამხმარე ფართობად 1096.2კვ.მ, საზაფხულო ფართობად 463.2 კვ.მ და ასევე აღნიშნულ ბრძანებაში საპროექტო ობიექტის მისამართად დაფიქსირდეს ქალაქი თბილისი, ზურაბ საკანდელიძის ქუჩა №11-21-23.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 10 ივლისის №4582998 ბრძანებით შეთანხმებული -4.2 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს 2019 წლის 12 სექტემბრის №AR1706272 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 10 ივლისის №4582998 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 10 ივლისის №4582998 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.